

# ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18

2023 წლის 5 მაისი

## ქ.ლაგოდები

„ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 ივლისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 ივლისის №16 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 04/07/2022, 010250040.35.167.016539).

### მუხლი 2

დადგენილებით დამტკიცებულ დანართში შეიცვალოს:

1. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის:

ა) „ვ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) საკრებულოს სხდომის დღის წესრიგისა და სამუშაო გეგმის პროექტის დამტკიცება;“;

ბ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ<sup>1</sup>) მერის, საკრებულოსათვის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, საკითხის სხდომის დღის წესრიგში შეტანა ან დღის წესრიგიდან ამოღება. ამ შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარე განმარტავს აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეუტანლობის ან დღის წესრიგიდან ამოღების მიზეზს, რის შემდეგაც სავალდებულოა საკითხის კენჭისყრაზე დაყენება. საკითხის საკრებულოს სხდომის შეტანის ან დღის წესრიგიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განხილვის გარეშე, საკრებულოს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ამასთანავე აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანა შესაძლებელია, თუ მას გავლილი აქვს კანონდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურები;“.

2. მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) უზრუნველყოფს საკრებულოს ბიუროს მიერ შემუშავებული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის საკრებულოსთვის სხდომაზე დასამტკიცებლად წარდგენას, ადგენს განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;“.

3. მე-22 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტსა და საკრებულოს სამუშაო გეგმის პროექტს;“;

ბ) „დ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) უზრუნველყოფს საკრებულოს კომისიების, დროებითი სამუშაო ჯგუფების დასკვნებისა და წინადადებების საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებისა და საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა საკითხების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში დაუყოვნებლივ შეტანას;“.

4. 94-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სამართლებრივი აქტის ინიცირების უფლების მქონე სუბიექტის მიერ მომზადებული და საკრებულოს სხდომაზე განსახილველი პროექტი საკრებულოს თავმჯდომარეს, როგორც წესი, წარედგინება სხდომის ჩატარებამდე არაუგვიანეს 8 დღისა, თუ სამართლებრივი აქტის პროექტი წარმოდგენილი იქნა ვადის დაუცველად და თუ საკითხის წარდგენის დაგვიანება განპირობებული იყო საპატიო მიზეზით ან/და თუ მისი განხილვის გადადება მიზანშეუწონელია, საკრებულოს თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს ბიურო უფლებამოსილია ასეთი პროექტი (პროექტები)



შეიტანოს დღის წესრიგის დამატებით საკითხებში, თუ მას გავლილი აქვს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურები. სამართლებრივი აქტის პროექტი ბარდება საკრებულოს აპარატს;“.

### **მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

